ეკეკი თოფლისის ბირჟის ფონდი

142

საქართ. [illegible]
ფონდი
Фонд № 287 1 № 142

დასკანირებულია (7)
16.01.2025

საქართ. [illegible]
ფონდი
Фонд № 287 1 № 142

[illegible]
[illegible] хранилища

13.

„ახალი კოლხეთი" 13 ივლისი, 1974 № 83

# შეიქმნა ფაზისის სახალხო აკადემია

**როგორც** უკვე ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს, 29 ივნისს ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა ფაზისის სახალხო აკადემიის დამფუძნებელი კრება, რომელსაც ესწრებოდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები.

დამფუძნებელ კრებაზე სახალხო აკადემიის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. ლაკიამ,** აკადემიკოსებმა **ს. ყაუხჩიშვილმა, შ. ამირანაშვილმა,** აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ა. აფაქიძემ** და სხვებმა სამართლიანად აღნიშნეს, რომ ფაზისის სახალხო აკადემიის შექმნა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია ფოთისა და კოლხეთის სხვა რაიონების მშრომელთა კულტურულ ცხოვრებაში. სახალხო აკადემია იქნება მეცნიერული ცოდნის გავრცელების მძლავრი კერა, რომელიც არა მარტო გააცოცხლებს ძველი კოლხეთის კულტურულ ტრადიციებს, არამედ ამსთან ერთად იქცევა თანამედროვე მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის ცენტრად.

დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა სახალხო აკადემიის დებულება, აირჩია სამეცნიერო საბჭო და პრეზიდიუმი, რის შესახებაც ქვემოთ ვაქვეყნებთ მასალებს.



**სურათზე:** დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. სიტყვას ამბობს ფაზისის სახალხო აკადემიის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ლაკია.

## ფაზისის სახალხო აკადემიის სამეცნიერო საბჭო

**ფაზისის** სახალხო აკადემიის დამფუძნებელმა კრებამ ღია კენჭისყრით აირჩია აკადემიის სამეცნიერო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **ი. ვეკუა,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, პროფესორი **ო. თაქთაქიშვილი,** აკადემიკოსები **შ. ამირანაშვილი, გ. ჩიტაია, ს. ყაუხჩიშვილი, თ. დავითაია, ე. ფიფია, შ. ძიძიგური,** აკადემიის წევრ-კორესპონდენტები **ა. აფაქიძე, კ. ბარამიძე, ლ. გორგილაძე, მ. დარასელია,** პროფესორები **ი. მირცხულავა, ი. ტაბაღუა, პ. ზერაგია, ც. მირცხულავა, ნ. დანელია, ს. ბოკუჩავა, პ. ხუჭუა, ვ. კალანდარიშვილი, ა. თოფურია, ლ. მენაბდე, ზ. ანჩაბაძე, ო. ბაკურაძე, მ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, მ. ჩიქოვანი, ა. მოწერელია, ი. ხოჭოლავა.** დოცენტები **გ. ალექსანდრია, აკ. ჩხარტიშვილი, ი. კაკულია,** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ლ. ფრუიძე,** მკვლევარი **პ. ინგოროყვა,** მწერალი **რ. ქორქია,** საზოგადოება „ცოდნის" თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დ. გოგოხია,** საზოგადოება „ცოდნის" პასუხისმგებელი მდივანი **ბ. ბაკურაძე,** საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი **გ. ქობულია,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ი. ლაღიძე,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჟვანია,** სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი **ნ. ესაკია,** თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორის მოადგილე **მ. ცხადაია,** თბილისის მექანიკური ქარხნის დირექტორი **გ. ყარა-მურზა,** გენერალი, სამამულო ომის ვეტერანი **ვ. ზარელუა,** საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. ლაკია,** საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **გ. არჩაია,** საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **ი. დოლბაია,** ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გ. კუხალეიშვილი,** ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **დ. ბერაია,** საზოგადოება „ცოდნის" საქალაქო ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი **ზ. ცანავა,** საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების ინსპექტორი **გ. ხოჭოლავა,** გაზეთ „ახალი კოლხეთის" რედაქტორი **ა. ტიკარაძე,** ფოთის ნავსადგურის უფროსი **გ. ვატაევი,** ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხნის დირექტორი **დ. მაღალაშვილი,** ტრესტ „კოლხეთმშენის" უფროსი **ა. გაწერელია,** საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე **დ. ფირცხალავა,** საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე **ვ. ვეკუა,** საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი **ვ. ესვანჯია,** საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. კვარაცხელია,** საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი **ა. როგავა.** საქართველოს სსრ რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი **ლ. ქავთარაძე,** კოლხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი **ს. გუბელიძე.**

დამფუძნებელმა კრებამ აირჩია სახალხო აკადემიის პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ **ი. ვეკუა, შ. ამირანაშვილი, გ. ჩიტაია, თ. დავითაია, ა. აფაქიძე, კ. ბარამიძე, ს. ბოკუჩავა, ი. ტაბაღუა, ნ. დანელია, პ. ზერაგია, ი. მირცხულავა, ა. მოწერელია, პ. ინგოროყვა, ნ. ლაკია, გრ. არჩაია, გ. კუხალეიშვილი, დ. ფირცხალავა, ვ. ესვანჯია, ს. გუბელიძე.**

არჩეულ იქნა რექტორატი. აკადემიის რექტორად არჩეულია აკადემიკოსი **გ. ჩიტაია,** პრორექტორებად — პროფესორები **ი. მირცხულავა, ნ. დანელია,** საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **გრ. არჩაია,** სწავლულ მდივნად — ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე **დ. ფირცხალავა.**

## ფაზისის სახალხო აკადემიის დებულება

### შესავალი

**საბჭოთა** ხელისუფლების წლებში კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად აყვავდა და გაიფურჩქნა ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრება, მისი კულტურა, არნახულ აღმავლობას მიაღწია მეცნიერებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ. რესპუბლიკაში შეიქმნა მძლავრი უმაღლესი სასწავლებლები და დიდი სამეცნიერო-კულტურული ცენტრები, რომელთაც უდიდესი წვლილი შეაქვთ როგორც სამამულო, ისე მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის საგანძურში. ყოველივე ამან მოამზადა ნიადაგი უძველესი ეროვნული სამეცნიერო-კულტურული ტრადიციების მქონე სამეცნიერო ცენტრების განახლებისა და აღორძინებისათვის. ფაზისის, გელათისა და იყალთოს სახალხო აკადემიებს შეუძლიათ უდიდესი როლი შეასრულონ თანამედროვე საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის უახლესი მიღწევების გავრცელებასა და სამეცნიერო-კულტურულ მოღვაწეობაში ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის ფართოდ ჩაბმის საქმეში.

### I
### ფაზისის სახალხო აკადემიის მიზანი და ამოცანები

ფაზისის სახალხო აკადემიამ უნდა გააერთიანოს რესპუბლიკის სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებათა მთელი ღონისძიებანი, დარაზმოს საუკეთესო მეცნიერული ძალები კოლხეთის დაბლობის ამოშრობისა და ათვისების საერთოსახალხო საქმის განხორციელებისათვის, მთელი ამ მხარის სოციალურ-ეკონომიური განვითარებისათვის. მისი სამეურნეო-კულტურული აყვავებისათვის, ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებათა ქსელის მიზანდასახულ განვითარებას, კოლხური კულტურის შესწავლასა და გამოვლენას, ისტორიულ ძეგლთა დაცვასა და პროპაგანდას.

ფაზისის სახალხო აკადემია არის საზოგადოებრივ საწყისებზე აღმოცენებული სამეცნიერო-სასწავლო ორგანიზაცია, რომლის მიზანია დაეხმაროს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, სახალხო განათლების, კულტურის, სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებს, ინტელიგენციის ფართო წრეებს უახლოესი სამეცნიერო ინფორმაციის მიწოდებაში, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მონაპოვართა ათვისებაში, სამეცნიერო-კვლევითი, საწარმოო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ამ მიზნისათვის სახალხო აკადემია, ძირითადად სასესიო და სალექციო სისტემას იყენებს.

ფაზისის სახალხო აკადემიის მსმენელთა შემადგენლობა კომპლექტდება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების, სახალხო განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოწინავე მუშაკებისაგან.

— სახალხო აკადემიის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში მონაწილეობენ და მასში ლექციებს კითხულობენ მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები.

— სასესიო და სალექციო მუშაობა წარმოებს სახალხო აკადემიის გეგმის შესაბამისად.

### II
### ფაზისის სახალხო აკადემიის პროფილისა და სამეცნიერო კადრის შესახებ

1. სახალხო აკადემიაში იმუშავებს: საზოგადოებრივ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო, სამეცნიერო-ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა და მჭერმეტყველების სექციები.

2. სახალხო აკადემიის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მეცნიერების იმ დარგებს, რომლებიც ფაზისის აკადემიაში ისწავლებოდა. ფაზისის სახალხო აკადემიაში ლექციების წასაკითხად მოწვეული იქნებიან მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები.

3. აკადემიის მსმენელთა მიღება წარმოებს ცალკეული სექციების მიხედვით. სწავლების ვადაა ხუთი წელი. ხუთი წლის შემდეგ სახალხო აკადემიის პრეზიდიუმის შეხედულებისამებრ ხდება მსმენელთა გამოშვება შესაფერისი მოწმობის გაცემით.

### III
### ფაზისის სახალხო აკადემიის ორგანიზაციული წყობა

1. ფაზისის სახალხო აკადემიის ბაზას წარმოადგენს ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

2. სახალხო აკადემიის დამფუძნებლებად ითვლებიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიო საზოგადოება, საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტი, კულტურის სამინისტრო და საზოგადოება „ცოდნის" გამგეობა.

3. სახალხო აკადემიის მუშაობას წარმართავს სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ირჩევს აკადემიის დამფუძნებელი კრება. სამეცნიერო საბჭო ირჩევა 5 წლით და იკრიბება წელიწადში ორჯერ ან უფრო ხშირად საჭიროების მიხედვით. სამეცნიერო საბჭოში ირჩევენ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, დამფუძნებელი და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, აგრეთვე აკადემიის მსმენელთა წარმომადგენლებს.

4. ფაზისის სახალხო აკადემიის სამეცნიერო საბჭო ირჩევს პრეზიდიუმს, რექტორს, პრორექტორებს, სწავლულ მდივანს.

5. სამეცნიერო საბჭო წარმოადგენს სახალხო აკადემიის უმაღლეს ორგანოს, იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს, წარმართავს აკადემიის მთელ მუშაობას. საბჭოს სხდომებს შორის ამ ფუნქციას ახორციელებს პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის სხდომა ტარდება სამთვეში ერთხელ.

6. ფაზისის სახალხო აკადემიის პრეზიდიუმი:

ა) წარმართავს აკადემიის მთელ მუშაობას სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებებისა და ხელმძღვანელი ორგანოების მითითებათა საფუძველზე, ადგენს აკადემიის სამუშაო გეგმას და ჩატარებული მუშაობის ანგარიშს, აწესრიგებს კადრებისა და სამეცნიერო თემატიკის შერჩევის საქმეს, აწესებს სათანადო კონტროლს სასწავლო-სამეცნიერო მუშაობაზე, საბჭოს წევრთაგან ნიშნავს სექციების ხელმძღვანელებს, ამყარებს კავშირს პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აკადემიის სახელით გამოდის თათბირებზე, პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით.

ბ) ხელმძღვანელობს და ახორციელებს აკადემიის საორგანიზაციო მუშაობას, აწყობს მსმენელთა მიღებას, აწესრიგებს აღრიცხვის საქმეს, ამტკიცებს აკადემიის შინაგანაწესს, იწვევს სამეცნიერო საბჭოს სხდომებს.

გ) ფაზისის სახალხო აკადემიის სათავეში დგას რექტორი, რომელიც წარმართავს პრეზიდიუმის სამეცნიერო და ორგანიზაციულ საქმიანობას, ნიშნავს პრეზიდიუმის სხდომებს, ზრუნავს აკადემიის მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის, აკადემიის მუშაობის პოპულარიზაციისათვის.

### IV
### სახალხო აკადემიის მუშაობის ორგანიზაცია, მატერიალური და ფინანსიური ბაზა

1. ფაზისის სახალხო აკადემიას თავისი საქმიანობის საწარმოებლად აქვს მრგვალი ბეჭედი და შტამპი, რომელზედაც გამოსახულია აკადემიის ემბლემა და შემდეგი ზედწერილი: „ფაზისის სახალხო აკადემია".

2. სახალხო აკადემია საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, იგი თავის მუშაობას ძირითადად საზოგადოებრივ საწყისებზე ახორციელებს, მას უფასოდ ეთმობა სათანადო მეცნიერულ-მატერიალური ბაზა, სალექციო დარბაზები, ხოლო აუცილებელ თანხებს საჭიროების მიხედვით გაიღებენ დამფუძნებელი ორგანიზაციები.

3. სახალხო აკადემიის ბეჭდვითი პროდუქციის (პოპულარული ლექცია-მოხსენებები, კონსულტაციები, რჩევა-დარიგებანი, აუცილებელი საცნობარო ლიტერატურა და სხვ) გამოცემა ხდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის ხაზით.

4. ფაზისის სახალხო აკადემია თავის მუშაობას ახორციელებს პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით და მხარდაჭერით.

## აკადემიის პირველი ნაბიჯები

**გაიმართა** ფაზისის სახალხო აკადემიის რექტორატის პირველი სხდომა. სხდომამ მიზანშეწონილად სცნო შეიქმნას სამი განყოფილება: საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ მეცნიერებათა და ისტორიულ-საზოგადოებრივი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების გამგედ სხდომამ დაამტკიცა აკადემიკოსი **თ. დავითაია,** ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების გამგედ — აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **კ. ბარამიძე,** ისტორიულ-საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამგედ — პროფესორი **ს. ბოკუჩავა.**

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სახალხო აკადემიის რექტორი აკადემიკოსი **გ. ჩიტაია,** რომელმაც ილაპარაკა სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებზე. გადაწყდა მასალები სასწავლო პროგრამების შესადგენად წარდგენილ იქნეს 1 სექტემბრამდე, ხოლო მეცადინეობა დაიწყოს 1 ოქტომბერს.



აკადემიკოსი **სიმონ ყაუხჩიშვილი**

## მე-4 განმსაზღვრელს — დამკვრელური შრომა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი კოლხეთი

საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ორგანო

АХАЛИ КОЛХЕТИ — Орган Потийского Горкома КП Грузии и горсовета депутатов трудящихся.

გაზეთი გამოდის 1921 წლის 28 სექტემბრიდან

№ 83 (8085), შაბათი, 13 ივლისი, 1974 წ. ფასი 2 კაპ.

## მომჭირნეობა ყველგან და ყველაფერში

**სოციალისტური** შეჯიბრება ის მამოძრავებელი ძალა გახდა ჩვენს ქარხანაში, რომელსაც სულ უფრო და უფრო ახალი ინტერესი, ხალისი შეაქვს მუშაობაში ყველგან — ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროში. განსაკუთრებულ წარმატებებს მივაღწიეთ მაისში — პროდუქციის გამოშვების ამ თვის სახელმწიფო გეგმა შევასრულეთ 101,3, ხოლო რეალიზაციისა — 101,1 პროცენტით. შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით, ძირითადი პროდუქციის წარმოება ძრავების დ-80-3 6-3 ტიპისა გაიზარდა 192 პროცენტით, რითაც მნიშვნელოვნად გადიდდა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვება.

ბევრმა ბრიგადამ ამ დროისათვის შეასრულა ნახევარი წლის გეგმა.

შეჯიბრება, ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის ვადამდე და წარმატების შესრულებისათვის, არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისათვის მიმდინარეობს ლოზუნგით — ნაკლები დანახარჯებით მივცეთ სახელმწიფოს მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია. ეს კი თავის დადებით შედეგებს იძლევა: აპრილიდან გამოშვებული პროდუქციის 32 პროცენტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანია, დანახარჯები კი — მინიმალური.

ინტენსიურად მიმდინარეობს ტექნიკური რეკონსტრუქცია. პროექტით გათვალისწინებულია შავი ლითონის საწყობის მშენებლობა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 117,3 ათას მანეთს შეადგენს. გავითვალისწინეთ რა არსებული შესაძლებლობანი, საჭიროდ მივიჩნიეთ ორი შუალედური საწყობის ნაცვლად მცირე რეკონსტრუქციით მოვაწყოთ ერთი საწყობი. ამ ღონისძიებამ მოგვცა ეკონომია ხელფასის ფონდში.

ამასთან, გაერთიანების ხელმძღვანელობასთან ერთად, მთავარი სამმართველოს ნებართვით შევცვალეთ დამამზადებელი კორპუსის საწყობის საპროექტო დავალება. ამით მშენებლობის ხარჯები შემცირდება 440 ათასი მანეთიდან 370 მანეთამდე. 1980 წლისათვის პროდუქციის წარმოება გაიზრდება 8 მილიონი მანეთით.

სკკპ 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რეზერვების გამოვლინებისა და მისი სრულყოფილად გამოყენებისათვის ქარხანაში შეიქმნა კომისია, რომლის მოვალეობას შეადგენს არსებული რეზერვების დარგში წინადადებების შეგროვება. კომისიის შემადგენლობაში არიან წამყვანი ინჟინრები და მოწინავე მუშები.

მუშაობის პროცესში კომისიამ მიიღო რეკომენდაციები არსებული მოედნების გამოყენების, მექანიკური და დამხვევი საამქროების რეკონსტრუქციის შესახებ. წინადადებები ინერგება და უკვე საგრძნობია ეკონომიური ეფექტი.

მიმდინარეობს მექანიკური და დამხვევი საამქროების რეკონსტრუქცია. ოპერაციების მიხედვით დამუშავების ნაცვლად ამავე მოედნებზე ექსპლოატაციაში გავა მექანიზებული ხაზები — დეტალების გადაცემა ოპერაციიდან ოპერაციამდე სპეციალური მოწყობილობებით განხორციელდება. ამ სიახლის დანერგვა 6,3 ათასი მანეთის ეკონომიას მოგვცემს და გაათავისუფლებს 5 მუშა-ხელს.

ყველგან და ყველაფერში დაზოგვა — ეს სოციალისტურ მეურნეობაში მუდმივი ზრუნვის საგანია. ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, მარტო ხუთ თვეში დაზოგილია 24 ათასი მანეთის შავი და ფერადი ნაგლინი. მუშავდება მანქანების კორპუსის გაბარიტის შემცირების საკითხი, რაც დანერგვის შემთხვევაში მოგვცემს მეტ ეფექტს მასალების დაზოგვის საქმეში.

სახალხო დოვლათისადმი ეკონომიური, ფრთხილი-მზრუნველობითი დამოკიდებულების ნიმუშს გვიჩვენებენ საამქროთა კოლექტივები. ფართოდ ინერგება მოწინავეთა გამოცდილება, იმათი, რომლებიც შემოქმედებითად, აქტიურად მონაწილეობენ დაზოგვისა და წარმოების რეზერვების გამოვლინების საკავშირო დათვალიერებაში.

კოლექტივს მტკიცედ სწამს, რომ უმნიშვნელო დანაზოგებიდანაც კი ათეული ათასები და მილიონები შესდგება, რაც მნიშვნელოვანი წვლილია საერთო-სახალხო დოვლათის დაზოგვისა და დანიშნულებისამებრ მისი გამოყენების საქმეში. ამიტომაც ქარხანაში სულ უფრო ფართოვდება ბრძოლა დაზოგვის ბაზაზე მატერიალური დოვლათის მნიშვნელოვანი ზრდისათვის მისაღწევად.

**გ. ნიკურაძე,**
ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხნის დირექტორი.

## გადაჭრით გავაძლიეროთ ბრძოლა მუქთახორობის წინააღმდეგ

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი „საქართველოს სს რესპუბლიკაში მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ". ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის აქტივიზაციისათვის. დიდი ყურადღება ეთმობა უმუშევარ პირთა დროზე გამოვლენასა და შრომით საქმიანობაში მათს ჩაბმას.

ყველა შრომისუნარიანი მოქალაქის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმა განსაკუთრებით აქტუალური ხდება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებასთან დაკავშირებით, რომელმაც რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას გრანდიოზული ამოცანა დაუსახა სახალხო მეურნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ დადგენილების შესრულება მოითხოვს მთელი არსებული შრომითი რესურსების ამოქმედებას.

მაგრამ, როგორც მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის ანალიზმა ცხადყო, მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ფორმალურად ეკიდებიან მუქთახორობის აღმოფხვრის საქმეს, ვერ შექმნეს პარაზიტული ელემენტების ირგვლივ საყოველთაო შეუწყნარებლობის ატმოსფერო.

როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაშია აღნიშნული, ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში სერიოზული ხარვეზები ის არის, რომ ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ მუქთახორობის სოციალურ საფრთხეს, მის უშუალო კავშირს წარსულის მავნე გადმონაშთებთან. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის თავის არიდება ჯერ კიდევ არ ფასდება როგორც დანაშაული სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ.

ორგანოებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც უშუალოდ მოწოდებული არიან ებრძოლონ პარაზიტიზმს, ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს სრულ შეთანხმებას თავიანთ საქმიანობაში, ვერ იყენებენ კანონის მიერ მინიჭებულ ყველა უფლებას. ადგილებზე ბევრმა ხელმძღვანელმა ჯერ კიდევ ვერ შეიგნო თავისი პასუხისმგებლობა პარაზიტიზმისა და მუქთახორობის აღმოფხვრის საქმეში, უშუალოდ არ მონაწილეობს მუქთახორების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში ხელსაც კი უწყობს მათ. ზოგიერთი მცხოვრები სარგებლობს ასეთი ხელმძღვანელის უპრინციპობით, შოულობს ფიქციურ ცნობას შრომაში მონაწილეობის შესახებ და ამ ცნობის მეოხებით დიდხანს ეწევა პარაზიტულ ცხოვრებას.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებით კოლექტივებში გაგზავნილ პირთა სამუშაოზე გამოუცხადებლობის ან სამუშაოდან წასვლის შემთხვევებს ცალკეულ საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები არ აცნობებენ ხოლმე შესაბამის ორგანოებს, ამის შედეგად ზოგიერთი პირი, რომელიც ბოროტად არიდებს თავს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცათ.

სასწავლო დაწესებულებები ჯერ კიდევ ვერ მიმართავენ გადამწყვეტ ღონისძიებებს იმ შრომისუნარიან უმუშევარ პირთა მიმართ, რომლებიც სწავლობენ საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე. ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული წარმოებაში დაუსაქმებელ საღამოს სკოლების მოსწავლეთა, საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა შესახებ ინფორმაციის შეგროვების მწყობრი სისტემა. სხვათა შორის, სწორედ ეს ახალგაზრდები სჩადიან სხვადასხვა, მათ შორის განსაკუთრებით საშიშ სისხლის სამართლის დანაშაულს.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო საექიმო — შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობას, რომლებიც ხშირად უხეშად არღვევენ დადგენილ წესებს შრომითი მოწყობის შესახებ ცნობების გაცემისას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივი ორგანოები პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს არ აწვდიან შესაბამის ინფორმაციებს მუქთახორობის საწინააღმდეგოდ, ამ მნიშვნელოვან მუშაობაში ჩაბმული არ არიან საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ქუჩისა და სახლის კომიტეტები, ამხანაგური სასამართლოები, სახალხო რაზმეულთა შტაბები, რის შედეგადაც არ იგრძნობა მუდმივი ზრუნვა იმისათვის, რომ პარაზიტული ელემენტების საცხოვრებელ ადგილას შეიქმნას მათ მიმართ შეუწყნარებელი ატმოსფერო.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში აღნიშნულია იმ არსებითი ნაკლოვანებების შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში.

ამ დიდმნიშვნელოვან პრობლემას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პრესა, რადიო და ტელევიზია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ძირეულად გააუმჯობესონ იმ პირთა გამოვლენის, აღრიცხვისა და შრომითი მოწყობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, გააქტიურონ პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, საწარმოთა და დაწესებულებათა, მშენებლობათა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელების, თვითეული კომუნისტის საქმიანობა იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილონ და პროფილაქტიკა გაუწიონ მუქთახორობას, მიიჩნიონ ეს მუშაობა, როგორც მნიშვნელოვანი საშუალება რესპუბლიკაში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის, ჯანსაღი მორალური კლიმატის შექმნისათვის. ამ მიზნით შემუშავდება მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისათვის პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერების სისტემა. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას შეფასების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი იქნება აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგისა და მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა ამა თუ იმ შრომითს კოლექტივში.

## სასიხარულო ცნობები

### გეგმა შესრულდა, გარღვევა დაფარული იქნება

**ფოთვაჭრობამ** 1974 წლის მეორე კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა შეასრულა 101,9 პროცენტით (გეგმა — 4520 ათ. მანეთი, შესრულება — 4609 ათ. მანეთი), მათ შორის საცალო ქსელმა — 102,1, საზოგადოებრივმა კვებამ — 101,5 პროცენტით, აქედან საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 101,6 პროცენტით. ასევე გადაჭარბებით შესრულდა ყველა სახეში ივნისის საქონელბრუნვის გეგმები.

1974 წლის მეორე კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოსახლეობას მიეყიდა 239 ათასი მანეთით მეტი სამრეწველო და სასურსათო საქონელი, რაც შეადგენს 5,5 პროცენტით მეტს, რამაც საშუალება მოგვცა საქონელბრუნვის გეგმაში პირველი კვარტალის 140 ათასი მანეთი გარღვევა შეგვემცირებინა 89 ათასი მანეთით.

მეორე კვარტალის საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაში თავი ისახელეს ცენტრალური უნივერმაღის ქსოვილების სექციის გამყიდველმა მ. ბახტაძემ, № 81 მაღაზიის გამყიდველმა ლ. გაბედავამ, რომლებიც ახლახან დაჯილდოვდნენ საპატიო ნიშნის ორდენით, საქონელბრუნვის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს № 8 (გამგე ნ. ფონიავა), № 9 (გამგე გ. ალანია), № 11 (გამგე მ. თოფურია), № 41 (გამგე ჟ. სირაძე), № 61 (გამგე ო. ზარგინავა), № 67 (გამგე ლ. ნოდია), № 81 (გამგე პ. გიორგაძე) მაღაზიებმა, № 2 კულინარულმა მაღაზიამ (გამგე ლ. ზარქუა), № 17 სახაშემ (გამგე ნ. ჩემია), დიეტურმა სასადილომ (გამგე რ. გუგუნავა), № 18 სასადილომ (გამგე კ. კუცია), № 15 სამწვადემ (გამგე გ. ლომაძე) და სხვ.

ფოთვაჭრობის კოლექტივი დაძაბულად შრომობს, რათა 6 თვეში მიღებული გარღვევა 51 ათ. მანეთი დაფარულ იქნას ივლისში.

**მაყვალა დოგონაძგინიძე,**
ფოთვაჭრობის საგეგმო განყოფილების უფროსი.

### ექვსი თვე—ნარმატებით

პურკომბინატის კოლექტივმა პროდუქციის რეალიზაციის ექვსი თვის გეგმა 101 პროცენტით შეასრულა. ასევე წარმატებითაა შესრულებული საერთო პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო დავალება.

შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 1 პროცენტით.

## შეიქმნა ფაზისის სახალხო აკადემია



ფაზისის სახალხო აკადემიის დამფუძნებელი კრების მონაწილეებმა, — ქართველმა მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა დაათვალიერეს ქ. ფოთის ღირსშესანიშნაობანი.
**სურათზე:** სტუმრები დიდების ძეგლთან.